



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/17

ა. თბილისი

21 მაისი 2018

ქ. ამბროლაურში, ბრატისლავას ქ. №11-ში მდებარე №1 შენობის ნაწილის (ფართობი – 2317,48 კვ.მ.) სახელმწიფოსთვის უკან დაბრუნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ 45-ე მუხლის მე-5 პუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2018 წლის 6 მარტის №27 წერილის და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 21 მარტის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, პროფ. ქ. ქოქრაშვილს ქ. ამბროლაურში, ბრატისლავას ქ. №11-ში მდებარე №1 შენობის ნაწილის (ფართობი – 2317,48 კვ.მ.) სახელმწიფოსთვის უკან დაბრუნების შესახებ;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე